

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N36

ქ.თბილისი

23 იანვარი, 2024 წელი  
14<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე  
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	ლილე ლიპარტელიანი
აკაკი ალადაშვილი	ნათია მოდებაძე
ლევან არველაძე	შალვა ოგბაიძე
ვლადიმერ ბოჟაძე	გიორგი ონიანი
ანა გოგოლაძე	გურამ ოქროპირიძე
არჩილ გორდულაძე	ლევან ჟორჟოლიანი
ოთარ გრიგოლია	ნინო რუხაძე
მამუკა გუგეშაშვილი	რევაზ სოხაძე
ლევან დავითაშვილი	ვახტანგ სურგულაძე
ნინო ვარდოსანიძე	დავით ფარცვანია
კონსტანტინე ზარნაძე	გიორგი შარაშიძე
მარიამ ზაქარიაშვილი	ზურაბ ჩიკვილაძე
ზაზა თავაძე	გივი ჩხარტიშვილი
ანა კაკაბაძე	ავთანდილ ცინცაძე
მიხეილ კაკაურიძე	ნინო წულაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ირაკლი ხელაძე
სალომე კობალაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ცოტნე კობერიძე	ლევან ჯაფარიძე
კახაბერ ლაბუჩიძე	ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე;

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს წევრებმა გააკეთეს განცხადებები.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ბოლო დღეებია ოპოზიციონერი კოლეგები ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელ პროექტთან და წერეთლის გამზირის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით აკეთებენ „გაუგონარ კომენტარებს“. მისი თქმით, ამ ადამიანებისთვის საკმარისი არ არის ფონდის მიერ, 25 წლის განმავლობაში, განხორციელებული საქმიანობა - 800-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია რეაბილიტირებული, რომ აღარაფერი ვთქვათ თბილისში ურბანული ტყის აღდგენის პროექტზე და საუბარი დაიწყეს იმ პროექტებზე, რომლებსაც ფონდი „ქართუ“ ახლაც ახორციელებს სწორედ იმისთვის, რომ განაგრძოს ეს საქმიანობა. ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ოპოზიციას არ უხარია თბილისის განვითარება და ის რაც ხდება დღეს ქალაქში - შენდება ბაღები, სკოლები, ხიდები, ბიბლიოთეკები და ერთი კონკრეტული პროექტიდან გამომდინარე, მთელი კვირის განმავლობაში საუბრობენ იმაზე, რომ თურმე წერეთლის გამზირზე არის რაღაც პრობლემები, რის გამოც ვერ მოესწრება რეაბილიტაციის დასრულება და დაზარალებიან ადგილობრივი მაცხოვრებლები. აქედან გამომდინარე მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენდა სამწუხაროდ, კოლეგებო, წერეთელიც მოესწრება, ქუჩების რეაბილიტაციაც გაგრძელდება, ბაღებიც აშენდება, სკოლებიც აშენდება და არაფერი კარგი თქვენთვის არ მოხდება“.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ თბილისის საკრებულოს წევრები წარმოადგენენ თბილისის მუნიციპალიტეტს და ფიქრობს, რომ ცოტა მეტი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეთ იმასთან დაკავშირებით მაინც, თუ რამდენი ქალაქისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი ძეგლი არის გადარჩენილი ფონდი „ქართუს“ მიერ. თუმცა, ვერ იხსენებს ვერცერთ ოპოზიციონერს, რომელსაც რაიმე დადებითი ეთქვას ფონდის მიერ განხორციელებულ რომელიმე პროექტთან დაკავშირებით, რაც, მისი აზრით, არის „უპასუხისმგებლობა და დანაშაული ქალაქის მიმართ“. აქვე, განაცხადა, რომ პოლიტიკური განწყობების და სიმპატიების მიუხედავად, ყოველთვის უნდა ითქვას ის, რაც არის რეალობა და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „თქვენ, ამ შემთხვევაში, სიმართლეს თვალს არ უსწორებთ“.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა წერეთლის გამზირის რეაბილიტაციაზე და განაცხადა, რომ მისი აზრით, ის რაც ხდება ბოლო დღეების განმავლობაში, აბსოლუტურად მიუღებელია და ვინც ამ უარყოფით კამპანიაში იღებს მონაწილეობას და ქილიკით საუბრობს წერეთლის გამზირის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, არასდროს ჰქონია შეხება რაიმეს შექმნასთან, არასდროს არაფერი გაუკეთებია და მშენებლობასთან არაფერი აქვს საერთო, რადგან ეს პროექტი არის უპრეცედენტო, მათ შორის, თბილისის ისტორიაშიც ძალიან ცოტა თუ მოიძებნება ასეთი მასშტაბური პროექტი. მისი თქმით, სწორედ ასეთი პროექტები სჭირდება ქალაქს არა მხოლოდ ისეთ დიდ გამზირებზე, როგორც არის წერეთელი, არამედ, ბევრ სხვა გამზირზეც. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ იქ მოხდა რაღაც დარღვევა ან რომელიმე კონტრაქტორმა გადააცილა ვადას, მუნიციპალიტეტს ჰქონდა ადეკვატური რეაქცია და კანონის შესაბამისად, განახორციელა ხელშეკრულების შეწყვეტა. რევაზ სოხაძემ ასევე, ისაუბრა დღის წესრიგით წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხზე, რომელიც ეხება ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელ პროექტს და აღნიშნა, რომ საკრებულოს გასულ სხდომებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია არაერთი მსგავსი განაშენიანების პროექტი, მათ შორის, დიდ დილოში თანხმდება განაშენიანების რეგულირების გეგმა გაცილებით მაღალი კოეფიციენტით, ქინძმარაულის ქუჩაზე თანხმდება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, სადაც სამრეწველო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით, ასევე, ზონის ცვლილება წარმოდგენილი კალოუბანში და სხვა, თუმცა, ოპონენტების მხრიდან არცერთ ამ პროექტზე არაფერი თქმულა და აქცენტი კეთდება მხოლოდ ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელ პროექტზე, სადაც წარმოდგენილია დამტკიცებულ გეგმარებით დავალებაში ცვლილება. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ საკრებულოში საუბარი უნდა იყოს ამა

თუ იმ პროექტის აგვარგანობაზე და არა იმაზე, თუ ვინ არის მისი განმახორციელებელი და გარდა იმისა, რომ ფონდი „ქართუს“ მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ამ პროექტის განხორციელების შედეგად მიღებულ თანხას მიმართავს ქველმოქმედებაში, წარმოდგენილი ცვლილებების გამო, სადაც საუბარია კ2 კოეფიციენტის 0.3%-ით მატებაზე, პროექტის შემსრულებელს, დაახლოებით 10 მილიონზე მეტის გადახდა მოუწევს ბიუჯეტში. ამასთანავე, ურბანული კუთხით, არცერთი არგუმენტი არ ყოფილა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის მიუღებელი წარმოდგენილი ცვლილება და საუბარია მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი დაკავშირებულია ფონდ „ქართუსთან“, რაც მიუღებელი და არასწორია.

ცოტნე კობერიძე გამოეხმაურა წერეთლის გამზირთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ისე ისაუბრეთ, თითქოს, წერეთლის გამზირზე მერე არ დაიწყო კითხვის ნიშნები, სანამ „გუთენ ტრაკენ“ არ ამახებინეს იქ კაცს და სანამ მთელმა ქალაქმა არ გაიგო, რა ხალხს აბარია იქ საქმე“ და განაცხადა, რომ კარგია, მოქალაქეებმა ბოლომდე რომ დასცინეს ამ ამბავს და კარგი იქნება, თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, რადგან იქნებ ასე მაინც გაკეთდეს საქმე. ცოტნე კობერიძემ ისაუბრა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე და განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებზე მეტად, თავად გაუხარდა ეს ამბავი, რადგან, მისი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცაში ცუდად არის საქმე, თან იმ ფონზე, როდესაც თავად ამბობდა, რომ „მე თუ მესამედ მოვედი, ესე იგი ან ხალხის არჩევა მეშლება ან რაღასაც გატყუებთ“. მისი თქმით, ძალიან მოსწონს ბიძინა ივანიშვილისგან იმაზე საუბარი, რომ უმისოდ კორუმპირებული იქნებოდა პარტია, იქნებოდა ფულის მოპარვა და ერთმანეთთან დაპირისპირება, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ არ ენდობა ამ ხალხს და ასევე, სასიამოვნოა მისგან იმის წამოცდენა, რომ დასაწყვირებულია და არაფორმალური მიმართველი იყო. ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ ძალიან მოსწონს, როდესაც „ქართული ოცნების“ პარტიის ლიდერები, რომლებიც ზოგადად „ბაქი-ბუქობენ“ ხოლმე, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ იწყებენ მის ქებას და მისთვის მადლობების გადახდას. ასევე, ძალიან მოსწონს, როდესაც ხედავს „ბელადომანიას“ და იმას, თუ როგორ ცდილობენ ლიდერები მას თავი მოაწონონ, რადგან, ეს ყველაფერი დაანახებს თავის მორალურ, ეთიკურ და პოლიტიკურ უპირატესობას „ქართული ოცნების“ პარტიის წევრებთან მიმართებაში. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ვულოცავ ოპოზიციას ბიძინას დაბრუნებას... თქვენთვის ცუდი ამბებია, ჩემი აზრით.“

ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის გამოსვლას და მიმართა მას: „კარგად გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა როგორ დამთავრდა ბევრი თქვენგანისთვის და თქვენი პარტიისთვის, ასევე, გვახსოვს მეორედ მობრუნება როგორ დამთავრდა თქვენი პრეზიდენტობის კანდიდატისთვის და ახლაც, წარმომიდგენია როგორ დამთავრდება მომავალი არჩევნები მისი მესამედ მოსვლის შემთხვევაში.“ ვლადიმერ ბოჟაძემ ისაუბრა ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელ პროექტზე და განაცხადა, რომ გასაკვირია არა ოპოზიციის დამოკიდებულება ფონდის მიერ განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით, არამედ ის, თუ რატომ ერქვა ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებას 2012 წლამდე „ქველმოქმედება“ და იგივე ქველმოქმედებას, რომელშიც ცხრა მილიარდ ლარზე მეტია დახარჯული, ახლა რატომ ჰქვია „სხვა პოლიტიკური მიზნები“. ვლადიმერ ბოჟაძემ ასევე, ისაუბრა წერეთლის გამზირის რეაბილიტაციაზე და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „როდესაც კონტრაქტების ვადა ამოიწურება და როდესაც ის შედეგები არ დადგება, რაც არის გათვალისწინებული კონტრაქტებით, მერე ისაუბრეთ. მანამდე ისაუბრეთ იმ პროექტებზე, რომლებიც, მათ შორის, კონტრაქტის დაცვით შესრულდა“. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა გიორგი შარაშიძის მიერ ბრიფინგზე გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, კორუფციის მაჩვენებელი ქვეყანაში არის 1% მაშინ, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო 10% და როდესაც გიორგი შარაშიძე საუბრობს ანტიკორუფციული კომისიის შექმნაზე, საინტერესო იქნება, რომ უფრო დეტალურად გვითხრას, თუ რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ამ კომისიას.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს, ძალიან ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული ამ ქვეყნისთვის და ქალაქისთვის, მათ შორის, სამ მილიარდ დოლარზე მეტი აქვს დახარჯული ამ ქალაქში. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი, 2012 წლამდე, როდესაც ახორციელებდა საპატრულო და სამხედრო რეფორმას, ქვეყანას ურემონტებდა თეატრებს, კონსერვატორიას, ოპერას და სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ „პოლიტიკური სახისთვის“ - ნანუკა ჟორჯოლიანისთვის იყო „ერის მამა“, ხოლო 2012 წლის შემდეგ, ამ პარტიის წარმომადგენლებისთვის გახდა „ქვეყნის მტერი“, რაც არის „ყველაზე დიდი სირცხვილი“. კონსტანტინე ზარნაძემ ისაუბრა ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელ პროექტზე და განაცხადა, რომ კომისიის სხდომაზე ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობდნენ არა იმაზე, თუ როგორი გრგ შემოვიდა, რამდენად კარგია, როგორ არის გადანაწილებული გამწვანება, არამედ იმაზე, რომ ამ პროექტს ახორციელებს ფონდი „ქართუ“, რაც არ მოსწონო მათ. ასევე, ისაუბრა წერეთლის გამზირის რეაბილიტაციაზე და განაცხადა, რომ „არცერთი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული ამ ქალაქში მაცხოვრებელი ადამიანების საწინააღმდეგოდ.“

გიორგი შარაშიძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „დღევანდელ საკრებულოს სხდომაზე, იმ მოვლენების შემდეგ, რაც განვითარდა წერეთლის გამზირზე, გასაგებია, რომ თქვენი მერი, ბატონი კალაძე არასდროს გამოირჩეოდა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებით, ბოდიშის მოხდით, როდესაც ამის საჭიროება არის, მაგრამ ის მაინც მჯეროდა და მეგონა, რომ თქვენ, მისი უმრავლესობა საკრებულოში, ბოდიშს მაინც მოუხდით თბილისელებს, მათ შორის წერეთლის გამზირზე მაცხოვრებლებს და არ მხოლოდ, რომლებიც უკვე ბოლო ათი თვეა აუტანელ პირობებში ცხოვრობენ იქ და ამას მაინც ვერ უარყოფთ ვერცერთი თქვენგანი იმიტომ, რომ ნამეტანი გამოვა“. გიორგი შარაშიძის სიტყვებმა გამოიწვია საკრებულოს უმრავლესობის წევრების უკმაყოფილება, რასაც მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა და ამის გამო გიორგი შარაშიძემ დატოვა სხდომათა დარბაზი.

ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ რასაც ბოლო დღეების განმავლობაში ვისმენთ ფონდ „ქართუსთან“, ბიძინა ივანიშვილთან, კახა კალაძესთან და პრემიერთან დაკავშირებით, არის „სირცხვილი“ და „ქვეყნის ღალატი“, რადგან, არ შეიძლება არ დაინახო ადამიანი რომ სიკეთეს აკეთებს და ამაზე კარგს თუ არაფერს იტყვი, ცუდი მაინც არ უნდა თქვა.

ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, უკვე „მავნე ჩვევად“ იქცა ნებისმიერი მშენებლობის გაპროტესტება, მით უფრო, თუ ის რაიმე ფორმით უკავშირდება იმ ადამიანის სახელს, რომელსაც ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული ამ ქალაქისთვის და ქვეყნისთვის, თუმცა, მაშინაც, როდესაც ეს ასე არ არის, ოპოზიცია მუდმივად ცდილობს გაუგებარი კვალის და კავშირების ძიებას, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და სასიკეთო პროექტებისთვის ჩრდილის მიყენებას. ისაუბრა წერეთლის გამზირის რეაბილიტაციაზე და განაცხადა, რომ მსგავსი მასშტაბის პროექტებს თან ახლავს გარკვეული დისკომფორტი, რომელიც ამ ქალაქში მაცხოვრებელ თითოეულ მოქალაქეს თანაბრად გვეხება და ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ეს ყველაფერი გარდაუვალია, თუ გვინდა რომ მივიღოთ შედეგი, რომელსაც დღითი დღე ვხედავთ - ქალაქი ვითარდება, ლამაზდება და დღეს თბილისის აბსოლუტურად განსხვავებულია, ვიდრე იყო წლების წინ. რეალურად, თბილისის ხდება ევროპული ტიპის ქალაქი, რასაც სჭირდება დრო, მოთმინება და პროფესიონალიზმი, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად ვხედავთ, რომ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესში არ ჰყოფნიან პასუხისმგებლობა და რიგ შემთხვევებში პრობლემები გვაქვს ვალდებულებების შესრულებასთან. ნინო ვარდოსანიძის თქმით, მთავარი არის ის, რომ ვხედავთ ქალაქის განვითარებას, თუმცა, ამასთანავე, სამწუხაროდ, ვხედავთ იმასაც თუ როგორ ხდება შენების ნგრევად წარმოჩინება და განვითარების აპოკალიფსად დახატვა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც, თავის დროზე, ნგრევას და ფასადურ მშენებლობას უწოდებდნენ შენებას.

გურამ ოქროპირიძემ განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა 2024 წელს იწყებს მნიშვნელოვანი სიახლით - ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსით და დარწმუნებულია, რომ მრავალრიცხოვანი სამუშაოს შემდეგ, საქართველო გახდება ევროპული ოჯახის

სრულფასოვანი წევრი. ისაუბრა წერეთლის გამზირის რეაბილიტაციაზე და განაცხადა, რომ კახა კალაძე შეეხო იმ პრობლემებს, რომლებსაც ფაქტობრივად არავინ შეხებია ათეულობით წლების განმავლობაში, მაგრამ, არავის უხსენებია ის, თუ რა მდგომარეობაში იყო მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომლის არშეცვლა იქნებოდა დანაშაული და აღნიშნული სამუშაოების განხორციელება ბევრად უფრო გრძელვადიანი პროცესია, ვიდრე მხოლოდ მიწისზედა სამუშაოების შესრულება. გურამ ოქროპირიძე გამოეხმაურა პარტია „ლელო“ წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს სტაჟირების ანაზღაურებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 2022 წლიდან სტაჟირება საჯარო სამსახურში ითვლება სამუშაო გამოცდილებად, ხოლო მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ის არის ანაზღაურებადი და შესაბამისად, ის, რასაც პარტია „ლელო“, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდება მოსახლეობას, უკვე შესრულებულია და უმჯობესი იქნება პარტიის წარმომადგენლები გაეცნონ საკანონმდებლო ბაზას მანამ, სანამ რაიმეს ჩაწერენ დაპირებებში. ისაუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ 2024 წელს, დედაქალაქში უნდა დაიხარჯოს 1963000000 ლარზე მეტი და საკრებულოს მთავარი მიზანი უნდა იყოს ამ თანხის რაციონალურ ხარჯვაზე მსჯელობა და არა პოლიტიკური შოუებისა და იაფფასიანი პიარსტრატეგიების დადგმა.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ოპოზიცია ცდილობს წარმოაჩინოს, რომ მშენებლობა, გზების გაკეთება, მოძრაობის მოწესრიგება და ზოგადად, აღმშენებლობა მიუღებელია, თუმცა, ეს არ გამოუვათ და მიმართა მათ: „მოთოკეთ ნერვები, დაუცადეთ არჩევნებს და თქვენი უტილიზაციის თარიღიც დადგება“.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ წერეთლის გამზირთან დაკავშირებით აქვს შეკითხვები და იმედი გამოთქვა, რომ ამ შეკითხვებზე მოისმენს პასუხებს. პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კომპანიის შერჩევის დროს, საკრებულოს არაერთმა წევრმა და ბევრმა სხვა ადამიანმა, ფაქტებზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ ამ კომპანიას ჰქონდა შეუსრულებელი სამუშაოები, მათ შორის, ორმოული შეკეთებები შესრულებული ჰქონდა დარღვევით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გამოცდილება ვერ იქნებოდა ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი. ამასთანავე, მთელმა საზოგადოებამ ნახა კომპანიის მენეჯმენტი და რა ხალხი მართავს მას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები შეხვედრის დროსაც ვერ მოახდენდნენ საოცარ ეფექტს მერიის წარმომადგენლებზე და ვერც ამით გადაწყდებოდა ამ კომპანიისთვის სამუშაოების მიცემა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა იყო ის განსაკუთრებული რამ, რაც ჰქონდა ამ კომპანიას და რის გამოც მივანდეთ ეს საქმე; მეორე, გასაკვირი და გაუგებარია კახი კალაძის დაჟინება, რომ რაც არ უნდა მოხდეს, პროექტი დასრულდება იანვრის ბოლოს, რადგან, მისი აზრით, უმჯობესია, თუნდაც ერთი თვით გადაიწიოს რეაბილიტაციის ვადამ და ბევრად უფრო გამართულად, კარგად და ხარისხიანად შესრულებული სამუშაოებით დასრულდეს ეს პროცესი. გიორგი ონიანმა ისაუბრა ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელ პროექტზე და განაცხადა, რომ ახალი უბნების გაჩენის წინააღმდეგი არ არის და პირიქით, ფიქრობს, რომ უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ კორპუსებს შორის „სოკოებივით არ ამოდიოდეს“ ახალი კორპუსები, რადგან ეს უფრო დიდი პრობლემაა, როგორც ქალაქისთვის, ასევე, მოსახლეობისთვის და უკეთესია გაჩნდეს სწორად დაგეგმილი ახალი უბნები.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ის რაც ხდება ბოლო დღეების განმავლობაში, გამოწვეულია გასული წლის მოვლენებით, რადგან ის ნარატივი, რაზეც ოპოზიცია წლების განმავლობაში მუშაობდა, წინა წელს ჩამოინგრა, კერძოდ, ქვეყანამ შეინარჩუნა ღირსება, კიდევ უფრო გაძლიერდა ევროინტეგრაცია, მივიღეთ კანდიდატის სტატუსი, უკვე დავიწყეთ რეკომენდაციების შესრულება, გაიწერა კონკრეტული გეგმები და ამ ყველაფერს დაემთხვა ის, რომ ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა პოლიტიკაში. შესაბამისად, უნდა შევეგუოთ იმას, რომ პროტესტი იქნება ყველაფერზე, მათ შორის, წერეთლის გამზირზე კონტრაქტორ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტა იქნება ეს, ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელი პროექტი თუ სხვა. მისი თქმით, ყველას გვახსოვს, თუ როგორ კეთდებოდა ამა თუ იმ გამზირის და ქუჩის რეაბილიტაცია წინა ხელისუფლების დროს, როდესაც ერთი და იგივე ადგილას სამჯერ და ოთჯერ უწევდათ გზის დაგება რადგან არ იცვლებოდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, ხოლო დღეს

ყველაფერი კეთდება საფუძვლიანად და ისე, როგორც არ გაკეთებულა ბოლო 70 წელია. ლევან ჟორჯოლიანი გამოეხმაურა ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელ პროექტს და განაცხადა, რომ ახსოვს ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული სიუჟეტები, სადაც ამბობდნენ რომ „თბილისი გაჩერდა“, „ეკონომიკა აღარ მიდის წინ“ და „არავის აღარ უნდა აშენებო“, თუმცა, ახლა, როდესაც ქალაქს აქვს ეკონომიკური ზრდა, ამბობენ „ეს როგორ შეიძლებაო“. ამასთანავე, არაფერს ამბობენ არცერთ პროექტზე, სადაც არ არის ნაცნობი სახელები და გვარები, მაგრამ სიუჟეტები კეთდება იმ პროექტებზე, სადაც ბიძინა ივანიშვილი ან „ქართულ ოცნებასთან“ რაიმე ფორმით დაკავშირებული პირია ნახსენები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ოპოზიცია ამ რეჟიმშია 2012 წლის შემდეგ, თუმცა, ეს არ ამართლებს და აქედან გამომდინარე, უნდა მიხვდეს, რომ ამ მიდგომით ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევს.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ საუბარია არა წერეთლის გამზირზე, არამედ, ზოგადად, ტენდენციასზე - ხიზანიშვილის ქუჩა სამი წელია კეთდება, სადაც 500 ტონა მეტალოკონსტრუქცია დაიკარგა ისე, რომ ხელისუფლებამ დღემდე არ იცის სად არის; ასევე, სამი წელი კეთდებოდა გოცირიძის მეტრო, რომელიც დღემდე არ არის ბოლომდე მიყვანილი; თორმეტჯერ გადაიდო მარშალ გელოვანი-მაჭავარიანის გზის გახსნა; მიცკევიჩის ქუჩაზე დაგებული გზა ორ კვირაში „ტალღისებური“ გახდა. მისი თქმით, შეცდომა ადამიანურია, მაგრამ მუდმივად ვიღაცაზე დაბრალება არ შეიძლება და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთხელ შეიძლება თქვან „შეგვეშალა“, მით უფრო, იმ ფონზე, რომ ვერცერთი დიდი პროექტი დროულად ვერ დაასრულა და ყველგან პრობლემებია, მათ შორის, ვაკის პარკში - სად არის კასკადი, რომელიც უნდა გაკეთებულიყო? ვახტანგ სურგულაძე გამოეხმაურა სტუდენტების სტაჟირებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „17000 სტუდენტი ამთავრებს ყოველ წელს ბაკალავრიატს და რომ დასაქმდნენ, ზუსტად იმდენი სჭირდება რასაც თქვენი მთავრობა კონცერტებში ხარჯავს - ცამოცდათხუთმეტი მილიონი, მეტი არ სჭირდება, რომ 6 თვიანი სტაჟირება გაიარონ 800 ლარიანი ხელფასით“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ არაფრის მტკიცებას აზრი არ აქვს, რადგან უმრავლესობის წარმომადგენლებისგან აბსოლუტურად განსხვავებული ღირებულებები აქვს და კიდევ ერთხელ მიმართა მათ: „ჩვენ წინ მივდივართ, თქვენ საბჭოთა კავშირში რჩებით“.

კახაბერ ლაბუჭიძემ განაცხადა, რომ ოპოზიცია ცდილობს მშენებლობა აქციოს კრიმინალად და დანაშაულად, ისაუბრა ისნის რაიონზე და აღნიშნა, რომ ბარბარეს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიას, კომუნისტების დროს, რეალურად ერქვა „სამრეწველო დასახლება“ და ყველა იქ არსებული კორპუსი 80-იან წლებში შენდებოდა იმიტომ, რომ ამ ტერიტორიაზე იყო სამრეწველო ობიექტები, რომელთაგან დღეს მხოლოდ ორია დარჩენილი - 31-ე ქარხანა და თამბაქოს ქარხანა, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი აღარ არსებობს, მათ ადგილას არის უზარმაზარი ტერიტორია და წარმოდგენილი პროექტით საუბარია სწორედ ერთ-ერთი ასეთი არეალის, ყოფილი ფეხსაცმელების ქარხნის ტერიტორიის განაშენიანებაზე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ არავის სჯერა ოპოზიციის განცხადებების, თითქოს „ქვეყნის დაქცევა ხდება“ და „დანაშაულია ახალი სახლის და კორპუსის მშენებლობა“.

ნათია მოდებაძემ განაცხადა, რომ ის რაც წერეთლის გამზირთან დაკავშირებით ხდება, არის კიდევ ერთ წარმატებულ პროექტზე იერიში, რადგან ჯერ მისი დასრულების ვადა არ ამოწურულა და ოპოზიცია უკვე რაღაცას აპროტესტებს და სამუშაოების ხარისხზე საუბრობს. გაუგებარია ასევე, გიორგი ონიანის მხრიდან კომპანიის შერჩევასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებაც, რადგან ის კომპანია, რომელიც ახორციელებდა წერეთლის გამზირის რეაბილიტაციას, შეირჩა ტენდერის საფუძველზე და როგორც კი დადგინდა ხარვეზი, მაშინვე შეწყდა მასთან გაფორმებული ხელშეკრულება. მისი თქმით, ყველამ ვნახეთ, თუ რა მდგომარეობაში იყო მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომლითაც სარგებლობდა ადგილობრივი მოსახლეობა და ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ იქ არსებული ქსელი საჭიროებდა შეცვლას. ასევე, არაერთი განცხადება მოვისმინეთ იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტი დასრულდება განსაზღვრულ ვადაში. აქედან გამომდინარე, რჩება განცდა, რომ ოპოზიციამ თავად არ იცის რაშია პრობლემა და ცდილობს „დაატრიალოს ქარიშხალი“, რადგან პრობლემა არის სწორედ იმ

ადამიანებში, რომლებსაც უნდათ, რომ ყველანაირი სიკეთე შერაცხონ „კატასტროფად“ და „კორუფციად“.

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ, როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი, თავს ვალდებულია თვლის, მოსახლეობას მიაწოდოს სწორი ინფორმაცია წერეთლის გამზირის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება დაიწყო აპრილში და მივედით იქამდე, რომ დასრულებული იყო მიწისქვეშა სამუშაოები და გამზირის ნახევარი მხარის მოასფალტება, თუმცა, სამუშაოები არ მიმდინარეობდა საჭირო ტემპებით, რის გამოც გატარებული იქნა შესაბამისი პროცედურები და დაჯარიმდნენ ის კომპანიები, რომლებიც ჩამორჩნენ გეგმა-გრაფიკს და ხარისხიანად ვერ ასრულებდნენ სამუშაოებს. ასევე, ასითასობით ჯარიმა იქნა გამოწერილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის. ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, ნათქვამი იყო, რომ წერეთელზე ორმხრივი მოძრაობა აღდგებოდა იანვრის ბოლოს და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ვერ მოხერხდებოდა კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების ტემპების გამო, მიღებული იქნა ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება.

ლევან არველაძემ ისაუბრა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე, რასაც „მთავარი პოლიტიკური მოვლენა“ უწოდა და განაცხადა, რომ 2011 წელს, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პირველად გამოჩნდა პოლიტიკაში, მაშინდელი მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან აშკარა იყო მარცხის შიში და ეს მარცხი გარდაუვალია 2024 წლის არჩევნებზეც, როდესაც „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს. ისაუბრა საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტზე ჩინეთში, სადაც, მისი თქმით, გაიმართა საკმაოდ კარგი შეხვედრები და განაცხადა, რომ ეს ვიზიტიც და ზოგადად, ჩინეთთან ურთიერთობა ნებისმიერ ფორმატში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და ეკონომიკისთვის.

მარიამ ზაქარიაშვილი გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის განცხადებას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიძლება თქვან რომ რაღაც „შეეშალათ“, მიმართა მას: „თქვენმა პარტიის ხელმძღვანელმაც რომ თქვას, რომ შეეშალა და მოუხადოს ბოდიში ახალგაზდებს, რომ საარჩევნო დაპირებად იყენებს ისეთ რაღაცას, რაც დღეს უკვე სისრულეში გვყავს მოყვანილი, ძალიან კარგი იქნება“ და წაიკითხა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცლილებები, რომლების თანახმადაც საჯარო სამსახურში სტაჟირება ჩაითვლება სამუშაო სტაჟში და იქნება ანაზღაურებადი.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ არ აქვს მნიშვნელობა საუბარი იქნება წერეთლის გამზირზე თუ ფონდი „ქართუს“ მიერ განსახორციელებელ სამშენებლო პროექტზე, მისთვის მნიშვნელოვანია გამჭირვალობა, რადგან, როდესაც საუბარია იმაზე, რომ პროექტი საქველმოქმედოა და ამ დროს არ საჯაროვდება ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვები და უნდობლობის პრობლემა. იგივე შეიძლება ითქვას წერეთლის გამზირის რეაბილიტაციაზეც, სადაც არავინ ამბობს იმას, რომ არ უნდა გამოცვლილიყო მიწისქვეშა კომუნიკაციები და საუბარია იმაზე, რომ არ არის გამჭირვალობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მერიის სამსახურები არ აწვდიან ოპოზიციას ინფორმაციას და არ პასუხობენ მათ წერილებს. ბარბარა ჯიმელი სულაშვილის თქმით, სწორედ იმიტომ, რომ არ არის გამჭირვალობა, გაურკვეველ მდგომარეობაშია მოსახლეობაც, რომელიც იმის ნაცვლად, ისმენდეს ინფორმაციას ამა თუ პროექტზე და სად რა პრობლემებია, ხედავს იმას, რომ უზარმაზარი პიარჯგუფი გადართულია კახი კალაძის პირად პიარზე, რაც არავის აინტერესებს და განაცხადა, რომ ეს ყველაფერი აჩენს პოლიტიკურ უნდობლობას, ხოლო იმ პოლიტიკური ძალისთვის, რომელსაც არ აქვს ნდობა და ეს პრობლემა ნამდვილად აქვს „ქართულ ოცნებას“, მართვა ძალიან რთულია. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საკრებულოს ერთ-ერთი ფუნქცია არის საზედამხედველო ფუნქცია, რომელიც უნდა შეასრულოს და შესაბამისად, საკრებულოს წევრებმა უნდა ისაუბრონ ქალაქში არსებულ პრობლემებზე, რაში დაიხარჯა მოსახლეობის ფული, რა გაკეთდა და ა.შ. და მიმართა უმრავლესობის წარმომადგენლებს: „ნუ გგონიათ, რომ ყველაფერი იყიდება... საუბრობთ, რომ აუცილებლად მოიგებთ არჩევნებს დიდი უპირატესობით... სასაცილო პროცენტები გვესმის... ყველაფერი არ იყიდება ამ ქვეყანაში, სამართლიანობა, პირველ რიგში.“

არჩილ გორდულაძემ განაცხადა, რომ როდესაც გასაკრიტიკებელი არაფერია, ოპოზიცია საუბრობს კორუფციაზე და ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა თავად აღიარა, რომ თურმე მნიშვნელობა არ აქვს, როგორი იქნება პროექტი ურბანული თვალსაზრისით ან როგორი გამწვანება იქნება და მთავარი არის გამჭირვალობაო ანუ მათთვის მნიშვნელობა აქვს სახელებს, ვინ დგას ამ თუ იმ პროექტის უკან და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „სანამ სხვაზე და კორუფციაზე დაიწყებთ ლაპარაკს, თქვენ კორუფციონერ მერს მიხედეთ, რომელსაც ვერ გაურკვევია რომელ პოლიტიკურ პარტიაშია.“

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება მმართველი გუნდისთვის კარგს არაფერს მოასწავებს და „ქართულ ოცნებაში“ იმაზე ცუდად ყოფილა საქმე, ვიდრე ოპოზიციას წარმოედგინა. გამოეხმაურა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებებს, თუ რატომ იყო ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა ქველმოქმედება 2012 წლამდე და ახლა რატომ აღარ არის ასე და აღნიშნა, რომ 2012 წლამდე თაბორის მთის ისტორიული ლანდშაფტისთვის არ გაუკეთებია ის, რაც მას შემდეგ გააკეთა. შესაბამისად, თუ ის მაგალითად ოპერას გაარემონტებს ისე, რომ არ გაანადგურებს თაბორის მთის ლანდშაფტს, რა თქმა უნდა, ეს იქნება ქველმოქმედება, მაგრამ როდესაც რაღაცის გაკეთების სანაცვლოდ იღებს თაბორის მთას, ბოტანიკურ ბაღს, ცეკავშირის შენობას, გუდიაშვილის ქუჩის რიგს, ერთ ლარად იღებს პუშკინის სკვერს, ორბელიანის მოედანზე აშენებს უკანონო შენობას და შემდეგ წამებში უკეთებს ლეგალიზებას ისე, რომ არანაირი დოკუმენტაცია დღესაც არ არის ატვირთული და როდესაც სახელმწიფოსგან ერთ ლარად იღებს მიწებს, ეს აღარ არის ქველმოქმედება და არის რაღაცის გაკეთების სანაცვლოდ რაღაცის მიღება. თუმცა, რომც ჩავთვალოთ, რომ ეს ყველაფერი ქველმოქმედებაა, ქვეყნის თავისუფლების და სუვერენიტეტის შელახვის ფასად არ უღირს ეს ქმედებები მოსახლეობის 80%-ს, რომელმაც ევროპაზე გააკეთა არჩევანი. ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმებსა და გეგმარებით დავალებებზე და აღნიშნა, რომ მათზე დეტალურად საუბრისთვის საჭიროა წარმოდგენილი იყოს სრულყოფილი დოკუმენტაცია, რომელიც საკრებულოს უმრავლესობის მიერ „დადგენილი ახალი სტანდარტით“ აღარ არის ატვირთული და შესაბამისად, ოპოზიცია ვერ ისაუბრებს იმ დეტალებზე, რომლებზეც საუბარსაც მათგან ითხოვენ უმრავლესობის წევრები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დედაქალაქს აქვს თავისი როგორც მიწისქვეშა, ასევე, მიწისზედა განვითარების რესურსი და მიმართა უმრავლესობას: „თქვენ, ურბანული განაშენიანების ნაცვლად, გააკეთეთ ისე, რომ დედაქალაქის გენოციდს აწყობთ და დღეს იღებთ „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიაზე - ისტორიულად სარეკრეაციო ზონაში, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ლანდშაფტში, ისტორიულ ნაწილში და ისტორიული განვითარების რეგულირების ზონაში ძალიან მასშტაბური განაშენიანების გადაწყვეტილებას ისე, რომ პროტესტი არ გიჩნდებათ... და ბოლოს, კითხვა მაქვს - მაინც, სად გადის თქვენი თავისუფლების, თქვენი პროფესიონალიზმის, თქვენი შვილების მომავლის და ასევე, ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი - თბილისის, საუკუნოვანი დედაქალაქის, წინაშე პასუხისმგებლობის ზღვარი?“

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ არის საკითხები, რომლებზეც უმრავლესობა და ოპოზიცია ფუნდამენტურად ვერ შეთანხმდება და ეს საკითხები დარჩება ღიად, თუმცა, მთავარი არის ის, რომ რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და გამწვავდება ვითარება, რადგან ოპოზიცია ხედავს, რომ 2024 წლის არჩევნები წაგებული აქვს, ვერ ახდენენ კონსოლიდაციას, ერთიანობას და პირიქით, იშლებიან. ისაუბრა თბილისში განხორციელებულ საგზაო პროექტებზე და აღნიშნა, რომ ვერავინ იტყვის იმას, რომ კახა კალაძის მერობის პირობებში ქალაქში განხორციელებულმა რომელიმე მასშტაბურმა პროექტმა, პირველ ეტაპზე, არ შექმნა გარკვეული დისკომფორტი მოსახლეობისთვის, იქნებოდა ეს ქავჭავაძის გამზირი, მელიქიშვილის გამზირი, უნივერსიტეტის ქუჩა, თამარ მეფის გამზირი თუ სხვა, ყველგან, პირველ ეტაპზე იყო დისკომფორტი, თუმცა, შემდეგ ყველა ვხედავთ ამ პროექტების განხორციელებით მიღებულ შედეგებს და იმას, თუ რამდენ სიკეთეს იღებს ქალაქი და თითოეული ჩვენი თანამოქალაქე, რისი დანახვაც ოპოზიციას არ უნდა. ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებასთან დაკავშირებით გაკეთებულ



კომენტარებს და განაცხადა, რომ შეიძლება პიროვნება არ მოგწონდეს, მაგრამ მისი ქველმოქმედების ექვექვემ დაყენება და იმის თქმა, რომ ის ამას რაღაცისთვის იყენებს, აბსოლუტური აბსურდია. საუბრის ბოლოს, მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „გადაწყვეტილებას მიიღებს ქართველი ხალხი, ჩვენი მოქალაქეები და უბრალოდ, უნდა შეეგუოთ იმ მომავალს, რომელიც არის წინასწარ განჭვრეტილი ოპოზიციისთვის.“

ნინო რუხაძე გამოეხმაურა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ საკრებულოს წევრებმა მოსახლეობას უნდა მოუხადონ ბოდიში და განაცხადა, რომ მოსახლეობას უხდის ბოდიშს შექმნილი ვითარებისთვის, თუმცა, არ აპირებს ბოდიში მოუხადოს ოპონენტებს შექმნილი დისკომფორტისთვის და პირიქით, „ქართული ოცნების“ გუნდი აპირებს კიდევ უფრო მეტი დისკომფორტი შეუქმნას ოპოზიციას ქალაქისთვის და ქვეყნისთვის გაკეთებული საქმეებით, რაც მათთვის პოლიტიკურად დამაზიანებელია. მისი თქმით, არავინ აპირებს ამ კურსის შეცვლას, რადგან ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებსაც გული შესტივიათ, უყვარსთ თავიანთი ქვეყანა და უხარიათ, როდესაც რაღაც სასიკეთო კეთდება.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ ამ წუთებში, კეკელიძის ქ. N1-ში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ჩართულობით, ჟურნალისტებზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმით და ძალის გამოყენებით, საცხოვრებელი სახლიდან, სამი თვის ბავშვთან ერთად, გამოასახლეს სრულ სასოწარკვეთილებაში მყოფი ოჯახი და ეს არ არის უკანასკნელი ოჯახი, რადგან მხოლოდ თბილისში, დღეს დილის საათებში დაგეგმილი იყო სამი გამოსახლება. იმ დროს, როდესაც მომდევნო დღეებშიც დაგეგმილია ოჯახების გამოსახლება საცხოვრებელი სახლებიდან, ჩვენ გვესმის, რომ იმ ადამიანს, რომელმაც, თავის პოლიტიკურ გუნდთან ერთად, ფაქტობრივად ხელი შეუშალა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სოციალურ კეთილდღეობას, მოქალაქეთა კეთილდღეობას, გაუჩნდა ახალი ინტერესები სამშენებლო სექტორში და ქველმოქმედებას ამოფარებული ცდილობს ვითომ ფსევდოსახალხო საქმის კეთებას. ნინო წულაძემ ისაუბრა წერეთლის გამზირზე და აღნიშნა, რომ წერეთელი, ისევე, როგორც სხვა ბევრი გამზირი, ძალიან მტკივნეული საკითხია მისთვისაც, რადგან, მისი აზრით, ამ დარბაზში არ არსებობს ადამიანი, რომელიც ვერ იაზრებს იმ კრიტიკულ მდგომარეობას, რაც დღეს მიწისქვეშა თუ მიწისზედა კომუნიკაციების კუთხით არის თბილისში და საუბარია არა იმაზე, რომ არ უნდა გაკეთდეს, პირიქით, უნდა გაკეთდეს, არამედ იმაზე, როგორ უნდა გაკეთდეს და როგორ შეირჩა სამუშაოების შემსრულებელი კომპანია. მისი თქმით, არცერთი მასშტაბური პროექტი არ დასრულებულა თავდაპირველად განსაზღვრულ ვადაში და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ყოველ ჯერზე ამბობენ, რომ კონტრაქტორი იყო არაკეთილსინდისიერი, თუმცა, არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ კომპანიის შერჩევისთვის არსებობდეს დამატებითი დეტალები, რომლებიც მერიას მისცემს შესაძლებლობას შეისწავლოს კომპანიის კეთილსინდისიერება და გამოცდილება.

ანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ 2024 წელი განსაკუთრებული იქნება, რადგან თბილისის მერიამ შემოგვთავაზა ისეთი სიახლეები და მასშტაბური პროექტები, როგორებიც აქამდე არ გვექონია და მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის, რომ ბაგა-ბაღების თითოეული თანამშრომლის ხელფასი იზრდება 15%-ით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მუნიციპალიტეტი აკეთებს, ეს არის ბავშვებზე ზრუნვა, რისი დასტური არის ის რომ, მხოლოდ 2024 წელს უკვე გაიხსნა ორი ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო 2017 წლიდან აშენდა ოცდასამი ახალი ბაღი და თერთმეტს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, რისთვისაც მადლობა გადაუხადა, როგორც ინიციატივის ავტორებს, ასევე, ამ პროცესებში ჩართულ ადამიანებს. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ნინო წულაძის მიერ ოჯახის გამოსახლებასთან გაკეთებულ კომენტარს და განაცხადა, რომ 2024 წელს 23 მოქალაქეს გადაეცა ბინები და მას შემდეგ, რაც თბილისის მერი არის კახა კალაძე, 3000-ზე მეტ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართები, ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება და ეს არის პასუხი მის გამოსვლაზე, რადგან, როდესაც არსებობს გამოწვევა, მნიშვნელოვანია მას გაეცეს პასუხი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევნ ჟორჟოლიანი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

5. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.072.01.571) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-9 კვარტლის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.031.006.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევის N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.022) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, შუშის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.017.013.01.007) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.140.01.535) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N3-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.414.01.595) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე 868 კვ.მ.) მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.234.008) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქ.თბილისში, შარტავას ქ. N4 და N6 კორპუსებს შორის მდებარე 4 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.10.13.021.048; N01.10.13.021.049) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ. 207909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქ.თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N41-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. N01.11.12.003.036) პირდაპირი განკარგვის წესით რომიკ კაბაჯიანისთვის (პ/ნ. 01002025535) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.06.006.078, ფართობი - 1365 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბაძე

16. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

17. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

